

სს „ფორსაით კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	12
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	13
5 ფული და ფულის ეკვივალენტები	13
6 გაცემული სესხები	13
7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
8 სააქციო კაპიტალი	14
9 საპროცენტო შემოსავალი	14
10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11 ფინანსური რისკი	15
12 პირობითი ვალდებულებები	16
13 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	16

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 16

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს „ფორსაით კაპიტალის“ ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გრიგორი მორჩილაძე
დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა


თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს „ფორსაით კაპიტალის“ ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:


გრიგორი მორჩილაძე
დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ფორსაით კაპიტალის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ფორსაით კაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია იყენებს საკუთარი პოლიტიკის მიხედვით შემუშავებულ დარეზერვების განაკვეთებს ვადაგადაცილებულ სესხებზე. განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტის პირობითი მოსაზრებისთვის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

SARAS-F-320544

SARAS-A-865011



სს "ფორსაით კაპიტალი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	33,409	61
გაცემული სესხები	6	4,181,497	-
სულ მიმდინარე აქტივები		4,214,906	61
სულ აქტივები		4,214,906	61
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	43,991	-
საგადასახადო ვალდებულება		4,610	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		48,601	-
სულ ვალდებულებები		48,601	-
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	8	4,165,858	710
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		447	(649)
სულ საკუთარი კაპიტალი		4,166,305	61
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,214,906	61

გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი


სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	33,409	61
გაცემული სესხები	6	4,181,497	-
სულ მიმდინარე აქტივები		4,214,906	61
სულ აქტივები		4,214,906	61
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	43,991	-
საგადასახადო ვალდებულება		4,610	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		48,601	-
სულ ვალდებულებები		48,601	-
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	8	4,165,858	710
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		447	(649)
სულ საკუთარი კაპიტალი		4,166,305	61
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,214,906	61


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	2022	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
საპროცენტო შემოსავალი	9	128,668	-
საერთო მოგება		128,668	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(37,898)	(649)
მოგება დაბეგრამდე		90,770	(649)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		90,770	(649)

გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი


სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	2022	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
საპროცენტო შემოსავალი	9	128,668	-
საერთო მოგება		128,668	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(37,898)	(649)
მოგება დაბეგრამდე		90,770	(649)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		90,770	(649)


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
26-ოქტ-21		-	-	-
კაპიტალის ზრდა	8	710	-	710
პერიოდის (ზარალი)		-	(649)	(649)
31-დეკ-21		710	(649)	61
კაპიტალის ზრდა	8	4,165,148	-	4,165,148
პერიოდის მოგება		-	90,770	90,770
დივიდენდი	8	-	(89,674)	(89,674)
31-დეკ-22		4,165,858	447	4,166,305


გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023
 თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
26-ოქტ-21		-	-	-
კაპიტალის ზრდა	8	710	-	710
პერიოდის (ზარალი)		-	(649)	(649)
31-დეკ-21		710	(649)	61
კაპიტალის ზრდა	8	4,165,148	-	4,165,148
პერიოდის მოგება		-	90,770	90,770
დივიდენდი	8	-	(89,674)	(89,674)
31-დეკ-22		4,165,858	447	4,166,305


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023
 თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნები	2022	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხი		(4,162,122)	-
მიღებული პროცენტი		109,294	-
გადახდილი მომსახურების ღირებულება		(3,615)	(649)
მიღებული ავანსები		14,317	-
ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან		(4,042,126)	(649)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		4,165,148	710
გადახდილი დივიდენდი		(89,674)	-
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		4,075,474	710
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		33,348	61
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		-	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		61	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5	33,409	61

გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

სს "ფორსაით კაპიტალი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნები	2022	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხი		(4,162,122)	-
მიღებული პროცენტი		109,294	-
გადახდილი მომსახურების ღირებულება		(3,615)	(649)
მიღებული ავანსები		14,317	-
ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან		(4,042,126)	(649)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		4,165,148	710
გადახდილი დივიდენდი		(89,674)	-
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		4,075,474	710
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		33,348	61
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		-	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		61	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5	33,409	61


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

11 ნოემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

1 კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ფორსაით კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 26 ოქტომბერს, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მაცაშვილის ქუჩა, N 24. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404622789.

აქციონერები	31-დეკ-22	31-დეკ-21
შპს "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"	0.00%	100.00%
ნატო დონაძე	48.12%	0.00%
ელენე ჩელნოკოვა	37.15%	0.00%
ნოდარ კურტანიძე	3.85%	0.00%
მარიამ ჯანაშია	4.83%	0.00%
შოთა კაჩუხაშვილი	2.45%	0.00%
მაია მორჩილაძე	1.31%	0.00%
თამარ პატარაია	0.57%	0.00%
ზურაბ ორჯონიკიძე	0.57%	0.00%
ზურაბ ვადაკორია	0.57%	0.00%
შპს "კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი"	0.57%	0.00%
ლევან ორახელაშვილი	0.00%	0.00%
ნიკოლოზ ახვლედიანი	0.00%	0.00%
გრიგორი მორჩილაძე	0.00%	0.00%
სულ	100.00%	100.00%
აქციების ჯამური რაოდენობა	1,222	10

საჯარო რეესტრის მონაცემებით კომპანიის დირექტორია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"-ი (404616518), რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სს „ფორსაით კაპიტალი“ არის 5 (ხუთი) წლის ვადით შექმნილი, ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებული, დახურული რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი, რომელიც არის ინვესტიციის მიმღები ან ინვესტორი ფონდი. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების დანაზოგების განთავსებით სხვადასხვა საინვესტიციო აქტივებში, ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს აქციონერთა/ერთეულების მფლობელთა სასარგებლოდ მოზიდული თანხების განთავსება/ინვესტირება. კომპანიამ ლიცენზია მიიღო 2021 წლის 01 სექტემბერს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია აშშ დოლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ანგარიშგება წარმოდგენილი იყო ლარში, რადგან კომპანიის ოპერაციების უმეტესი ნაწილი 2022 წელს განხორციელდა აშშ დოლარში ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება ლიკვიდურობას.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გათვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 31 დეკემბრის გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
1 ლარი/აშშ დოლარი	0.3701	0.3228

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება. კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება. ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის საგარეულო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა. (იხ. შენიშვნა 6)

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება). ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.5 ფული და ფულის ეკვივალენტები

შედება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

2.6 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ, რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.6 გაცემული სესხები (გაგრძელება)

2.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კონტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

დივიდენდის განაწილება. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.8 ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.9 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო;
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს;
- დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2.10 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3 სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;

3 სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე - შესწორებები ბასს 16-ში;
- მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკვავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარის რეფორმა - შესწორებები ფასს 4, 7, 9, 16-სა და ბასს 39-ში.

კომპანია თვლის რომ ამ სტანდარტების ძალაში შესვლა არ გამოიწვევს არსებით ცვლილებებს ფინანსურ ანგარიშგებაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

სესხის გაუფასურების ხარჯი - კომპანია სესხების და მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს. კომპანია საეჭვო ვალების რეზერვს ქმნის შენიშვნა 2.4-ში აღწერილი ვადაგადაცილების დღეებისა და რეზერვის განაკვეთების შესაბამისად.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულდება სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული ბანკში	25,997	61
სალარო	7,412	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	33,409	61

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც FITCH-ის მიერ შეფასებულია, როგორც B+ და BBB- ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი), B და F3-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

6 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს იურიდიულ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრივობით. სესხები გაიცემა დოლარში 5 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად 8 პროცენტის ტოლია. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 1 ტიპისაა : სესხის ძირი ვადის ბოლოს იფარება. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

გაცემული სესხები	31-დეკ-22	31-დეკ-21
სესხის ძირი	4,162,122	-
მისაღები პროცენტი	19,375	-
სულ გაცემული სესხები	4,181,497	-

6 გაცემული სესხები (გაგრძელება)

კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. თუმცა 2022 წელს რადგან სესხები ახალი გაცემულია ანარიცხის ღირებულება 0-ის ტოლია, რადგან არ დაფიქსირებულა არც მისაღებ პროცენტზე ვადაგადაცილება და არც სესხის უზრუნველყოფილი ქონების გაუფასურება.

ვადაგადაცილებული დღეები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
< 60	0%	4,181,497	-
60 - 120	10%	-	-
120-150	30%	-	-
150-180	50%	-	-
> 180	100%	-	-
სულ		4,181,497	-

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს 43,991 აშშ დოლარს აქტივების მართვის კომპანიის მიმართ (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 აშშ დოლარი).

8 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 4,165,858 აშშ დოლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 710 აშშ დოლარი).

სააქციო კაპიტალი	აქციების რაოდენობა	თანხა აშშ დოლარი
სააქციო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	710
შპს "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"-ის მიერ კაპიტალში თანხის შეტანა	-	8,127
შპს "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"-ის მიერ კაპიტალიდან თანხის გატანა*	-	(8,777)
ნატო დანაშის მიერ 588 ცალი აქციის შესყიდვა	588	2,002,861
ელენა ჩელნოკოვას მიერ 147 ცალი აქციის შესყიდვა	147	501,127
ნოდარ კურტანიძის მიერ 47 ცალი აქციის შესყიდვა	47	159,816
შოთა კაჩუხაშვილის მიერ 30 ცალი აქციის შესყიდვა	30	102,037
თამარ პატარაიას მიერ 7 ცალი აქციის შესყიდვა	7	23,809
მაია მორჩილაძის მიერ 16 ცალი აქციის შესყიდვა	16	54,429
ელენა ჩელნოკოვას მიერ 147 ცალი აქციის შესყიდვა	147	501,110
ელენა ჩელნოკოვას მიერ 160 ცალი აქციის შესყიდვა	160	547,638
ზურაბ ორჯონიკიძის მიერ 7 ცალი აქციის შესყიდვა	7	23,873
ზურაბ ვადაკორიას მიერ 7 ცალი აქციის შესყიდვა	7	23,873
მარიამ ჯანაშიას მიერ 59 ცალი აქციის შესყიდვა	59	201,355
შპს "კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მიერ 7 ცალი აქციის შესყიდვა	7	23,870
სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,222	4,165,858

2022 წელს ჯამში გაიცა 89,674 აშშ დოლარის დივიდენდი.

* იმის გათვალისწინებით რომ აქციონერი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღარ არის შპს "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ" 8,777 აშშ დოლარის ოდენობით შემცირებულია სააქციო კაპიტალი და აღნიშნული გადატანილია ვალდებულების ანგარიშზე.

26-ოქტ-2021

დან

31-დეკ-2021

9 საპროცენტო შემოსავალი

	2022	მდე
რეინვესტირების საპროცენტო შემოსავალი	128,668	-
სულ საპროცენტო შემოსავალი	128,668	-

10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წელს შეადგენდა 37,898 აშშ დოლარს, რომელიც წარმოადგენს აქტივების მართვის კომპანიის მიერ გაწეული მართვის მომსახურების საკომისიო ხარჯს, საბანკო ხარჯსა და სარეგისტრაციო მოსაკრებელს (2021 წელი: 649 აშშ დოლარი).

11 ფინანსური რისკი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი. ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს ჯგუფისთვის. ჯგუფი ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

ფინანსური აქტივები 31-დეკ-22	დოლარი	ლარი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	25,997	7,412	33,409
გაცემული სესხები	4,181,497	-	4,181,497
სულ ფინანსური აქტივები	4,207,494	7,412	4,214,906

ფინანსური ვალდებულებები	დოლარი	ლარი	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	43,991	-	43,991
სულ ფინანსური ვალდებულებები	43,991	-	43,991
წმინდა სავალუტო პოზიცია	4,163,503	7,412	4,170,915

ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	დოლარი	ლარი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	-	61	61
სულ ფინანსური აქტივები	-	61	61
წმინდა სავალუტო პოზიცია	-	61	61

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და ფულის ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესიო ვალდებულება.

11 ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 31-დეკ-22	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	33,409	-	33,409
გაცემული სესხები	19,375	4,162,122	4,181,497
სულ ფინანსური აქტივები	52,784	4,162,122	4,214,906
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	43,991	-	43,991
სულ ფინანსური ვალდებულებები	43,991	-	43,991
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	52,784	4,162,122	4,214,906
ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	61	-	61
სულ ფინანსური აქტივები	61	-	61
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	61	-	61

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები. კომპანიის ფულადი რესურსები მეტია ვიდრე კომპანიის საჭიროება ფულად გასავლებზე.

12 პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია 3 წელი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით არის ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

13 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მარტვის საკომისიოს ხარჯი	საპროცენტო შემოსავალი
უმადლესი ხელმძღვანელობა	25,451	44,030
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.22)	მისაღები სესხის ძირი	მისაღები სესხის %
სხვა დაკავშირებული მხარეები	2,282,122	8,064

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის კომპანიას არ ჰქონია ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ აქციონერებზე გასცა დივიდენდი 173,925 აშშ დოლარის ოდენობით.

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში ორ კომპანიაზე გასცა სესხი ჯამურად 612,336 აშშ დოლარის ოდენობით, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს (აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეზე 612,336 აშშ დოლარი გაცემულია 540,800 აშშ დოლარი.

2023 წლის 20 ოქტომბერს დაიფარა გაცემული სესხის ძირი თანხა 162,430 აშშ დოლარის ოდენობით.

2023 წლის 4 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, აქციონერ ნატო დონადის აქციები თანაბრად გადაეცა მის მემკვიდრეებს. 2023 წლის 9 მარტის ხელშეკრულების თანახმად, 160 აქცია ელენა ჩელნოკოვამ მიჰყიდა გრიგორი მორჩილაძეს. ასევე, 2023 წლის 10 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე, ნოდარ კურტანიძემ შეისყიდა კომპანიის 12 აქცია.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

- დოკუმენტის დასასრული -

სს „ფორსაით კაპიტალი“

2022 წლის მმართველობითი ანგარიშგება

ფორსაით  კაპიტალი

შინაარსი:

დირექტორის მოხსენება	3
ეკონომიკური გარემო და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.....	5
სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ბიზნეს მოდელი.....	9
ფინანსური მაჩვენებლები.....	12
რისკები.....	13
ინფორმაცია კომპანიის განვითარებს გეგმებთან დაკავშირებით.....	16

ღირექტორის მოხსენება

2020 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საინვესტიციო სექტორის განვითარების დასაწყისს. საინვესტიციო ფონდები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მათი მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდებიან ერთი მხრივ ინდივიდუალური ინვესტორები და კომპანიები, რომლებსაც აქვთ დანაზოგი და მეორეს მხრივ - ბიზნესები და სხვა კერძო თუ სახელმწიფო სუბიექტები, რომლებსაც სჭირდებათ მათზე მორგებული დაფინანსება.

აღნიშნული კანონის ფარგლებში შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“ იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2021 წლის სექტემბერში მოიპოვა ლიცენზირებული აქტივების მმართველის სტატუსი.

აქტივების მართვის ლიცენზიის მოპოვების შემდგომ, „ფორსაით ინვესტმენტ გრუპმა“ ამავე წლის ბოლოს დაიწყო მისი პირველი საინვესტიციო ფონდის - სს „ფორსაით კაპიტალის“ - რეგისტრირების პროცესი. შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება N56-ის შესაბამისად, 2022 წლის 3 მარტს, სს „ფორსაით კაპიტალი“ რეგისტრირებულ იქნა საქართველოში ერთ-ერთ პირველ საინვესტიციო კომპანიად.

სს „ფორსაით კაპიტალი“ არის დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდი, რომლის ვადიანობა რეგისტრაციის თარიღიდან 5 წლით განისაზღვრა.

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, ფონდის აქტივების მოცულობა 4.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული მომენტისთვის, ფონდის მმართველი აგრძელებს ფონდში ინვესტიციების მოზიდვის პროცესს.

ფონდის მმართველი კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალი და გამოცდილი კადრებით, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება ფინანსურ ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს იზრუნოს თანამშრომელთა განვითარებაზე, მათი სხვადასხვა ტიპის ტრეინინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერით. კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტია მაღალი დონის სერვისი შეთავაზოს პოტენციურ და აქტიურ კლიენტებს. შესაბამისად, ინერგება საერთაშორისო სტანდარტის

საუკეთესო პრაქტიკები, მუდმივად ხდება ბაზრის დეტალური კვლევა და პროცედურების მოდერნიზაცია და დახვეწა.

გამომდინარე იქიდან, რომ ფონდის სამიზნე აუდიტორიას საქართველოს რეზიდენტი დამზოგველები წარმოადგენენ, ფონდის მმართველი გუნდი მუდმივად იკვლევს და აანალიზებს დაზოგვისა და ხარჯვის ტენდენციებს საქართველოს ეკონომიკაში. კერძოდ, ფონდის მმართველისთვის საინტერესოა როგორც უცხოურ ვალუტაში, ასევე ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კომერციული საბანკო დეპოზიტების დინამიკა. ამასთან, ვინაიდან ფონდის საინვესტიციო საქმიანობა უზრუნველყოფილი სესხების გაცემას გულისხმობს, ფონდის მმართველი დეტალურად იკვლევს და აანალიზებს სასესხო ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, როგორც მოცულობებს, ასევე განაკვეთების ცვლილებებს. აღნიშნული კვლევების საფუძველზე მოდიფიცირდება ერთი მხრივ ფონდის PR და მარკეტინგული აქტივობები და მეორე მხრივ, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობა.

ამასთან, ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გამჭვირვალობაა. ფონდის ინვესტორებს რეგულარულად მიეწოდებათ უტყუარი, განახლებული და სრულყოფილი ინფორმაცია ფონდში მიმდინარე პროცესებზე. აღსანიშნია, რომ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ხდება მათთვის გასაგები ფორმითა და ტერმინოლოგიით.


ეკონომიკური გარემო

2020 წლის კოვიდ პანდემიიდან მიყენებული ეკონომიკური ზიანის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ სწრაფად მოახდინა რეაბილიტაცია. ქვემოთ მოცემულია რეალური მშპ-ს ზრდა, პროცენტულად ბოლო წლების და მიმდინარე 2023 წლის პირველ და მეორე კვარტლების შესაბამისად -






საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოგდენილი მაჩვენებლების მიხედვით 2022 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19.04 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 32%-ით მეტია. გასულ წელს, 31.8%-ით – 5.59 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა ექსპორტი, 33.2%-ით – 13.45 მლრდ აშშ დოლარამდე კი – იმპორტი. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 7.85 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.3%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის წილმა საგარეო სასაქონლო ვაჭრობის ბრუნვაში 29.35% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში მცირედით შემცირებულია.

ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ კატალიზატორს წარმოადგენს სასესხო კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ყოველწლიური ზრდა, რაც დადებითად ისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნაშთების ზრდაზეც -



გაცემული სესხების საპირწონედ, ასევე მნიშვნელოვანი ზრდა არის ბანკებში განთავსებულ მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე -





საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პოტენციალი, რათა მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების პროცესში. განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ქვეყანას მოახდინოს უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას გახდეს უფრო მაღალტექნოლოგიური, გაზარდოს სამუშაო ძალის

ეფექტიანობა, დანერგოს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სტანდარტები რათა უპასუხოს განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს და გამოწვევებს.

2022 წელს ქვეყანაში ფულადი გზავნილების სახით სულ 4.4 მილიარდი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც ამგვარი სტატისტიკის წარმოების ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შედარებისთვის 2021 წელს იმავე მაჩვენებელმა 2.35 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. უცხოური ფულადი გზავნილები საქართველოს ეროვნული შემოსავლის ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროა. მისი მნიშვნელობა ეკონომიკისთვის განსაკუთრებით დიდია.

ინფლაცია

2022 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.3%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 9.8% შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.9% შეადგინა.

2023 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის უმთავრეს გამოწვევას, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნეზე ქვემოთ ჩამოვიდა. შედეგად, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება უკვე დაიწყო.

ბიზნეს მოდელი:

კომპანიის დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენენ გამოცდილი ფინანსისტები, ბანკირები და ბიზნესმენები.

სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების დანაშოგების მოზიდვას შემდგომ ინვესტიციების განთავსების მიზნით.

სს „ფორსაით კაპიტალი“ ბაზარზე წარმოდგენილია ერთი ფილიალით მდებარე ბესიკის N4, ოფისი 204, თბილისი, საქართველო. შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ი ასევე ბაზარზე წარმოდგენილია ერთი ფილიალით მდებარე - ბესიკის N4, ოფისი 204, თბილისი, საქართველო. აქტივების მმართველ კომპანიაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი. სს „ფორსაით კაპიტალს“ არ ჰყავს დასაქმებული თანამშრომლები.


საინვესტიციო ფონდების და აქტივების მმართველი კომპანიების საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფონდის დაგეგმილი ზომა შეადგენს 30 მილიონ აშშ დოლარს. აქტივების ღირებულება 2022 წლის ბოლოს მდოგმარეობით 4.2 მლნ აშშ დოლარია.

ფონდის მიერ განხორციელებული ინვესტიციები იმართება პარტნიორების მიერ დამტკიცებული და რეგულატორთან შეთანხმებული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად.

საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ მიერ სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ერთეულების მფლობელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დადგენილ მოზიდული აქტივების მართვისა და ინვესტირების ჩარჩოს.

ფონდს მართავს წინამდებარე სტრუქტურით დაკომპლექტებული, ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“:



ფონდის ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები არის აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, აქტივების მართვის ხელშეკრულებისა და აქტივების მმართველი კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ფონდის მიერ შესაძლებელია აქტივების ინვესტირება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებში:

- ა) მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ საქართველოს საბანკო დაწესებულებებში არსებულ ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში (აშშ დოლარი, ლარი);
- ბ) მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში (აშშ დოლარი, ლარი);
- გ) ადგილობრივი ემიტენტების მიერ გამოშვებულ კერძო და საჯარო, უზრუნველყოფილ სასესხო ფასიან ქაღალდებში (აშშ დოლარში);
- დ) რეზიდენტ იურიდიულ პირებისათვის პირდაპირ გაცემულ უზრუნველყოფილ სესხებში (აშშ დოლარი);

ე) რეზიდენტ იურიდიულ პირებში პირდაპირი ფლობის გზით კაპიტალში, მხოლოდ კაპიტალის

საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე დარგები:

ა) ენერგეტიკა (მხოლოდ განახლებადი);

ბ) სოფლის მეურნეობა (ექსპორტზე ორიენტირებული);

გ) ჯანდაცვა (სამედიცინო ტურიზმის პოტენციალით);

დ) სამშენებლო/დეველოპერული კომპანიები;

ე) კომერციული უძრავი ქონება (მხოლოდ არსებული იჯარის კონტრაქტებით უზრუნველყოფილი).

ფონდის ყველა ინვესტიცია უზრუნველყოფილა ინვესტიციის შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონებით და არამატერიალური ქონებით.

ფინანსური მაჩვენებლები:

ფონდმა საქმიანობა 2022 წლის ზაფხულში დაიწყო და ზაფხულიდან წლის ბოლომდე პერიოდში რამოდენიმე მნიშვნელოვანი ტრანზაქცია განახორციელა. ფონდს ქონდა შემდეგი კატეგორიისა და მოცულობის ტრანზაქციები:

1. ინვესტორების მიერ ფონდის ერთეულების შეძენის საფასურის ჩარიცხვა - 4 165 860 აშშ დოლარი
2. მოზიდული სახსრებით ინვესტიციების განხორციელება (სესხების გაცემა) - 4 162 122.48 აშშ დოლარი (31.12.22-ის მდგომარეობით)
3. ინვესტიციებიდან (გაცემული სესხებიდან) მიღებული შემოსავლების ჩარიცხვა - 128 668.14 აშშ დოლარი
4. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ინვესტორებზე გაცემა დივიდენდის სახით - 89 674 აშშ დოლარი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფორსაით კაპიტალს“ განტავსებული აქვს 1 222 ერთეული, რომლებიც გადანაწილებულია 10 ინვესტორზე.

2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სს „ფორსაით კაპიტალის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოდგენილია მხოლოდ სასესხო ხეშეკრულებებით, აღნშნული მომენტისთვის კომპანია არ ფლობს სხვა იურიდიული პირის აქციებს ან სხვა ტიპის წილობრივ აქტივებს.

რისკები:

რისკის აღება საინვესტიციო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპანია იყენებს რისკის მართვის ფუნქციას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ერთეულების მფლობელთათვის მაქსიმალური ღირებულების შექმნა ადეკვატური რისკის მართვის პრაქტიკის დამკვიდრებისა და საოპერაციო და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში წარმატებული შედეგების აღბათობის გაზრდის გზით. აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო აცნობიერებს, რომ შეუძლებელია რისკის სრულად აღმოფხვრა, თუმცა ის მკაფიოდ უნდა იყოს გაცნობიერებული და შეფასებული იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მოსალოდნელ ამონაგებსა და რისკს შორის მიზნობრივი ბალანსი.

რისკი იმგვარად უნდა იმართოს, რომ:

- ა. გათვალისწინებული იყოს მთლიანი საინვესტიციო რისკების მართვის ერთიანი პროცესი, საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ყველა ოპერაციული რისკების ჩათვლით;
- ბ. განხორციელდეს საინვესტიციო პორტფელთან და აქტივების თითოეულ კლასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა და კომუნიკაცია;
- გ. რისკების მართვით უზრუნველყოფილ იქნეს ინვესტიციაზე ამონაგებისა და აღებული რისკების მონიტორინგი, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ადეკვატურად არის კომპენსირებული გაწეული რისკები; და
- დ. უზრუნველყოფილი იყოს საინვესტიციო რისკის გამოთვლის სისტემებისა და ფუნქციების სათანადო ორგანიზაციული დამოუკიდებლობა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების ფუნქციებისგან.

ფონდი იყენებს RCSA მეთოდოლოგიას და თითოეულ ინვესტიციაზე, ისევე როგორც მთელ საინვესტიციო პორტფელზე, აფასებს შემდეგ რისკებს:

- ა) საბაზრო;
- ბ) საკრედიტო;
- გ) ლიკვიდობის;

- დ) საოპერაციო;
- ე) რეგულირების;
- ვ) კანონთან/რეგულაციებთან შესაბამისობის;
- ზ) რეპუტაციული;
- თ) გადაღების/გავრცელების;
- ი) სტრატეგიული.

საკრედიტო რისკების გამოვლენისთვის და ეფექტიანი მართვისთვის კომპანია სესხის გაცემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდგომ ეტაპზე ახორციელებს პორტფელის ყოველკვარატლურ მონიტორინგს, განხორციელებულმა მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა გაუარესდა თუ არა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, ფონდის მიერ ინვესტირების შემდგომ ეტაპზე გაიზარდა თუ არა მსესხებლის ვალდებულებები, ფუნქციური, გეოგრაფიული ან/და ეკონომიკური ცვლის ხარჯზე, ხომ არ მოხდა უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და ამის შედეგად რამდენად გაუარესდა სესხის LTV კოეფიციენტი (სესხის თანხის შეფარდება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან). კომპანია აანალიზებს განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და შესაბამისად ადგენს რამდენად გაიზარდა ან შემცირდა საკრედიტო რისკი. საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად, ფონდი ხელმძღვანელობს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გაუფასურების მატრიცით.

სავალუტო რისკი

2022 წლის ბოლოს საქართველოში ეროვნული ვალუტის საშუალო კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 2.70 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 12.8%-ით არის შემცირებული. ლარის გამყარების ძირითადი მიზეზი მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებებია. აღსანიშნია, რომ სს „ფორსაით კაპიტალი“ არ ახდენს სავალუტო რისკები აღებას, რადაგანც ახდენს ინვესტიციების მოზიდვასა და განთავსებას მხოლოდ აშშ დოლარში.

ლიკვიდობის რისკი

დახურული ფონდის განსაზღვრებიდან გამომდინარე, ფონდს ვადის ამოწურვამდე არ გააჩნია ერთეულების გამოსყიდვის ვალდებულება, რაც ახდენს ლიკვიდობის რისკის ელიმინირებას.

კონკურენცია

2023 წლის მესამე კვარტალის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს საინვესტიციო სექტორი წარმოდგენლია 11 საინვესტიციო კომპანიით, რომელთაგან უმეტესობა უმოქმედია. სს „ფორსაით კაპიტალი“ იმედოვნებს, რომ უახლოვებს მომავალში გაიზრდება, როგორც ფონდების, ასევე მათ მიერ ინვესტირებული თანხების რაოდენობა და მოცულობები, რაც ცალსახად პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებაზე.

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი

2022 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ინტერვენციამ და დაწყებულმა ომმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვია როგორც რეგიონში, ასევე სრულიად ცივილიზებულ სამყაროში. პოლიტიკური დაძაბულობა და ვითარების ესკალაციის მაღალი ალბათობა რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებაზე.

ინფორმაცია კომპანიის განვითარებს გეგმებთან დაკავშირებით

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ის მიერ მართული სს „ფორსაით კაპიტალი“ ახორციელებს და მომავალშიც განაგრძობს ინვესტიციების მოზიდვას მათი შემდგომი განთავსების მიზნით, რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკურ და იურიდიული პირებისგან. პორთფელის ჯეროვნად მართვისა და მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, კომპანიის საინვესტიციო გუნდი, მუდმივ რეჟიმში განიხილავს ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს აქტივების კლასებისა და მათი ალოკაციის ეფექტური გადანაწილების მიზნით.

ანგარიშგების მომზადების თარიღი: 11/11/2023

სს „ფორსაით კაპიტალის“ დირექტორი

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“

წარმომადგენელი: გრიგორი მორჩილაძე

